პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзо

გამოცემის მე-10 წელი

№ 49 (751) | კვირა, 20 ივნისი, 1954 წ. | ფასი 80 კაპ.

ნორჩი თაობის ფიზიკურად გამოწრთობისათვის

დადგა ჩვენი სამშობლოს მომავალი თაობის სასიხარულო პერიოდი — საზაფხულო არდადეგები. ისინი მადლიერების გრძნობით გამოეთხოვენ მშობლიურ სკოლებს, საყვარელ აღმზრდელ-მასწავლებლებს. ათასობით ბავშვი გაემგზავრა დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებში, პიონერთა ბანაკებსა და ჩვენს თვალუწვდენ სამშობლოში სამოგზაუროდ. ბეჯითი სწავლის შემდეგ ნაყოფიერად დაისვენებენ და მომავალი სასწავლო წლიდან ახალი, უფრო მეტი ენერგიით შეუდგებიან მეცადინეობას.

საბჭოთა ბავშვებისათვის ფართოდაა ღია სკოლების, სახელოსნო სასწავლებლების, სხვადასხვა საბავშვო დაწესებულებათა კარი, სადაც ისინი გულმოდგინე მეცადინეობით იფართოებენ ჰორიზონტს, ეუფლებიან მეცნიერების საფუძვლებს, რომ ახლო მომავალში აქტიურად ჩაებან კომუნიზმის აშენებისათვის გმირული შრომის ფერხულში. სწავლასთან ერთად ბავშვები არ ივიწყებენ ფიზკულტურასა და სპორტს.

განსაკუთრებით უყვართ ბავშვებს პიონერთა ბანაკებში გამგზავრება, რადგან იციან, რომ აქ ისინი საინტერესოდ გაატარებენ არდადეგების დღეებს, მონაწილეობას მიიღებენ შეჯიბრებებში, ტურისტულ ლაშქრობებში, მოაწყობენ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებს. ამიტომაა, რომ საქართველოს საუკეთესო კურორტებზე კეთილმოწყობილ პიონერთა ბანაკებში წელსაც დიდი ხალისით გაემგზავრა მრავალი პიონერ-მოსწავლე.

პიონერთა ბანაკების ბავშვთა დასვენების ორგანიზაციაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ფიზკულტურასა და სპორტს. კეთილმოწყობილი კალათბურთის, ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნებზე, სარბენ ბილიკებზე, სახტომ ორმოებთან იმართება სხვადასხვა საინტერესო სპორტული ღონისძიება. მედიცინის მუშაკთა აბასთუმნის პიონერთა ბანაკში ბავშვების ჩასვლისთანავე ჩამოყალიბდა ტანვარჯიშული ჯგუფები, სხვადასხვა წრეები, უფრო კეთილმოეწყო სპორტული მოედნები, ტანვარჯიშული ბაქანი. ამჟამად აქ ნაყოფიერ წვრთნას გადის ბევრი ნორჩი თანრიგოსანი, რომლებიც ემზადებიან საბანაკო სპარტაკიადისათვის. ასევე კარგად მუშაობს დაწყებითი და საშუალო სკოლების რესპუბლიკური კომიტეტის ქვიშხეთის პიონერთა ბანაკი, სადაც ბავშვებს ყოველგვარი პირობა აქვთ შექმნილი ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობისათვის.

გასული წლის ზაფხულში იყო შემთხვევები, როცა ბანაკებში მყოფი ბავშვები არასაკმაოდ იყვნენ ჩაბმული ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში. ეს იმით აიხსნება, რომ აქ ფიზაღზრდის მასწავლებელი მარტო მოქმედებდა, არ ჰყავდა აქტივი, ზოგან კი ბანაკის ხელმძღვანელობა ამ საქმეს ზერელედ უყურებდა. გასული წლის ნაკლოვანებები რომ არ გამეორდეს, ამისათვის საჭიროა ბანაკის ფიზაღზრდის მასწავლებელმა პიონერხელმძღვანელების დახმარებით შემოიკრიბოს ფიზკულტურელთა ფართო აქტივი, სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებათა მოწყობა-ჩატარების საქმეში ჩააბას რგოლებას, რაზმებისა და რაზმეულების ხელმძღვანელები.

ბანაკებში ფიზკულტურული საქმიანობის მაღალ საფეხურზე დაყენებისათვის დიდი როლი აკისრიათ უფროს პიონერხელმძღვანელებს. ფიზაღზრდის მასწავლებლებთან მჭიდრო კავშირში მათ ბანაკებში ჩამოსვლისთანავე უნდა შეადგინონ სხვადასხვა ღონისძიებათა კალენდარი, რომელშიც გარდა ადგილობრივი შეჯიბრებებისა, უნდა იყოს მეზობელ პიონერთა ბანაკებში მყოფ მოსწავლეებთან ასპარეზობა.

ბანაკებში ყველა ერთნაირი ფიზიკური მომზადებით როდი მოდის. საჭიროა დავაკომპლექტოთ სპორტული ჯგუფები ბავშვთა ფიზიკური მონაცემების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სპორტის ისეთ სახეობაში მუშაობას, როგორიც არის ცურვა. რესპუბლიკის გამოჩენილ სპორტსმენებს მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ ბანაკებში მყოფ პიონერებთან, მათთვის მოაწყონ საჩვენებელი გამოსვლები, გაუზიარონ საკავშირო და რესპუბლიკურ პირველობებში შეძენილი გამოცდილება.

ბანაკებში მოსწავლეები მხოლოდ ერთ თვეს დაისვენებენ. ამიტომ, აქ ჩასვლის პირველ დღიდანვე უნდა მივაღწიოთ იმას, რომ უქმად არ დაიკარგოს არც ერთი დღე, არც ერთი საათი. ყველა საშუალება უნდა ვიხმაროთ ბანაკში მყოფი ყველა მოსწავლის სპორტულ საქმიანობაში ჩაბმისათვის, სპორტული თანრიგის ამაღლებისა, იმშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისათვის. ასეთია პიონერთა ბანაკების ხელმძღვანელთა, ფიზაღზრდის მასწავლებელთა საბრძოლო ამოცანა.

რესპუბლიკის სხვადასხვა პიონერთა ბანაკებიდან დაბრუნებული, ფიზიკურად გაჯანსაღებული ახალგაზრდები აღტაცებით უნდა უზიარებდნენ ერთმანეთს ბანაკში გატარებული დღეების შესახებ, მადლობის გრძნობას გამოხატავდნენ ძვირფასი აღმზრდელების მიმართ, რომლებმაც მათ შეუქმნეს ნაყოფიერი დასვენების საშუალება.

მუდმივმოქმედი ლექტორიუმი

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი მიმდინარე წლის 16 ივნისიდან თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ხსნის მუდმივმოქმედ ლექტორიუმს. ყოველ ოთხშაბათს მოეწყობა საჯარო ლექციები ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე.

16 ივნისს საზოგადოების ნამდვილმა წევრმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ე. გოკიელმა წაიკითხა პირველი ლექცია თემაზე „საბჭოთა სპორტსმენები მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლაში"; 23 ივნისს საზოგადოების ნამდვილი წევრი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი მ. გორგაძე წაიკითხავს ლექციას — „საქართველოს სპორტსმენები დიდ სამამულო ომში"; 30 ივნისს პროფესორი ს. ნარიკაშვილი წაიკითხავს ლექციას — „ი. პავლოვის მოძღვრება უმაღლესი ნერვული სისტემის მოქმედების ტიპების შესახებ და მისი მნიშვნელობა ფიზიკურ აღზრდაში".

ლექციების შემდეგ ნაჩვენები იქნება დოკუმენტური და სამეცნიერო კინოფილმები. ლექციები დაიწყება 8 ს. 30 წუთზე.

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1954 წლის 20 ივნისი № 95 ქ. მოსკოვი

ამხანაგო მფრინავებო და შტურმანებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, საჰაერო მსროლელებო და რადისტებო, ავიაციის მექანიკოსებო და მოტორისტებო, საავიაციო მრეწველობის მუშაკებო!

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს და აღნიშნავენ ახალ წარმატებებს საბჭოთა ავიაციის განვითარებაში.

გილოცავთ საჰაერო ფლოტის დღეს და ვუსურვებ სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამოქალაქო ავიაციის მფრინავებს და მთელ პირად შემადგენლობას, საავიაციო მრეწველობის კონსტრუქტორებსა და ყველა მუშაკს შემდგომ წარმატებებს თანამედროვე საავიაციო ტექნიკის განვითარებაში, ჩვენი საჰაერო ფლოტის ძლიერების გადიდების საქმეში.

დღესასწაულის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 1954 წლის 20 ივნისს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს საბჭოთა საჰაერო ფლოტს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ჩვენი ხალხის დიად შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ა. ბულგანინი.

მრავალდღიანი საკავშირო ველორბოლა

17 ივნისს სტარტი მიეცა მრავალდღიან საკავშირო ველორბოლას მოსკოვი-ხარკოვი-კიევი-მინსკი-მოსკოვი, რომელშიც მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდები.

ველორბოლის პირველი ეტაპის ფინიში შედგა ქ. ტულაში. ფინიშთან ერთდროულად მივიდნენ თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტკლუბის ველოსიპედისტები ჩიკიკოვი და ნემიტოვი. ხაზზე ნახევარი ბორბლით წინ იყო ჩიკიკოვი.

18 ივნისს სტარტი მიეცა მეორე ეტაპს ტულა-ორიოლი. რთული პროფილის დისტანცია ყველაზე კარგად გაიარა და დიდი უპირატესობით გაიმარჯვა არმიელმა სპორტსმენმა ვოსტრიკოვმა. გამარჯვებულს საგრძნობლად ჩამორჩა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ნემიტოვი, ჩიკიკოვი და სხვანი. ორი ეტაპის შემდეგ საერთო პირველობას ინარჩუნებდა ჩიკიკოვი, მეორე ადგილზე იყო ნემიტოვი. გუნდურ ჩათვლაში ორი ეტაპის შემდეგ წინ იყვნენ არმიელი ველოსიპედისტები. მომდევნო ადგილებზე — „ტორპედოს" და „ზენიტის" გუნდები.

გუშინ სპორტსმენებმა გაიარეს მესამე ეტაპი ორიოლი-კურსკი.

ბორჯომის წარმტაც მიდამოებში

დაიწყო მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო თბილისში, ბათუმსა და ბორჯომში ატარებს რესპუბლიკის მოსწავლეთა მეექვსე სპარტაკიადას. სპარტაკიადის მონაწილენი დაყოფილი არიან ჯგუფებად. პირველ ჯგუფში მონაწილეობენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და ქალაქების თბილისისა და ქუთაისის ნაკრები კოლექტივები, მეორე და მესამე ჯგუფში — სხვა ქალაქებისა და რაიონების გუნდები.

პირველ ჯგუფში მონაწილე გუნდები პირველობისათვის ერთმანეთს შეეჯიბრებიან ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვაში, ველოსპორტში, კალათბურთში, ფრენბურთსა და სროლაში; მეორე ჯგუფის გუნდები — ტანვარჯიშში, მძლეოსნობასა და ერთ-ერთ სპორტულ თამაშობაში. გუნდურ ჩათვლაში შევლენ ის სპორტსმენები, რომელთა შედეგი აკმაყოფილებს მესამე თანრიგის ნორმატივს.

შეჯიბრებები ფრენბურთსა და კალათბურთში ტარდება ქვეჯგუფებს შორის, აქ გამარჯვებულნი ქმნიან ფინალურ ჯგუფს და გაათამაშებენ შესაბამის ადგილებს.

ბორჯომის სპორტულ მოედნებზე 13 ივნისს დაიწყო მოსწავლეთა VI სპარტაკიადის მონაწილეთა შეჯიბრება კალათბურთში მეორე ჯგუფის გუნდებს შორის. მონაწილეობს 200-ზე მეტი მოსწავლე.

უკვე დამთავრდა შეხვედრები ქალთა გუნდებს შორის. პირველ ადგილზე გამოვიდა წულუკიძის გუნდი, ბორჯომმა ანგარიშით 27:18 დაამარცხა ხაშური და მეორე ადგილი მოიპოვა, მესამეზე ფოთის კოლექტივი გამოვიდა.

ვაჟთა ქვეჯგუფებში გაიმარჯვეს და ფინალურ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეს გორის, ფოთის, სამტრედიისა და ცხაკაიას მოსწავლე კალათბურთელებმა.

ბორჯომში ჩატარდება შეჯიბრებები კალათბურთში პირველი ჯგუფისათვის და ფრენბურთში, თბილისში 3-დან 6 ივლისამდე მოეწყობა შეჯიბრებები ტანვარჯიშში, ცურვასა და სროლაში. ხოლო ბათუმში — მძლეოსნობასა და ველოსპორტში.

ვ. კიკნაძე

მთა მტირალაზე

მუდამ ნისლიანია მთა-მტირალა, რომელიც ზღვის დონიდან 1.400 მეტრის სიმაღლეზეა.

ამას წინათ კომკავშირის საოლქო და საქალაქო კომიტეტის ინიციატივით მოეწყო მთა მტირალაზე ლაშქრობა, რომელშიც მრავალმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. აქ იყვნენ ბათუმის მუშები, მოსწავლეები, სტუდენტები. ძირითადი ჯგუფი (150 კაცი) შებინდებამდე პატარა მთა-მტირალას მიადგა.

დილით, როცა ბუნებას ჯერ კიდევ ეძინა, მოლაშქრეები წამოიშალნენ, საცალფეხო ბილიკებით დაიწყეს მწვერვალის დაპყრობა. წითელი ალამი აფრიალდა მტირალაზე.

გ. რაჭველიშვილი

ტურისტული ლაშქრობა

გამოცდების წარმატებით დამთავრების შემდეგ სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლის IX და X კლასის მოსწავლეებმა ფიზკულტურის მასწავლებელ შ. არუთინაშვილის ხელმძღვანელობით მოაწყეს ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: გურჯაანი-ალაზანი-ლელიანი-საცხენე. მონაწილეებმა კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე დაიპყრეს მწვერვალები ლოლოიანი და გოხიანი.

მოლაშქრეები გაეცნენ კავკასიონის მთების წარმტაც ბუნებას, შეაგროვეს მდიდარი კოლექცია.

ი. ოდიშელიძე

◆

საბჭოთა კავშირი-ამერიკა

16 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ნიუ-იორკის ოტელ „რუზველტის" დიდ დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდების საჭადრაკო მატჩი.

სსრ კავშირის გუნდს მიესალმნენ ამერიკის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი ფილიპსი და ამერიკის გუნდის კაპიტანი ბისნო. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ქალაქ ნიუ-იორკის ხელისუფალთა წარმომადგენლებმა და ამერიკელმა ბანკირმა ბარუხმა.

საპასუხო სიტყვაში სსრ კავშირის მოჭადრაკეთა გუნდის ხელმძღვანელმა დ. ვ. პოსტნიკოვმა რწმენა გამოთქვა, რომ მატჩი ხელს შეუწყობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ხალხთა კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას.

17 ივნისს გაიმართა მატჩის პირველი ტური. მალე დამთავრდა ევანს-ტაიმანოვის პარტია. საბჭოთა გროსმაისტერმა ლამაზი კომბინაციით შეწირა ფიგურა და შექმნა ძლიერი მუქარა მოწინააღმდეგის მეფის ფლანგზე. საშამათო ქსელის ასაცილებლად ამერიკელმა ლაზიერი შეწირა და რამდენიმე სვლის შემდეგ დანებდა. გელერისა და გოროვიცის შეხვედრა დამთავრდა პირველის გამარჯვებით.

კერესმა, რომელიც პავეის შეხვდა. დებიუტშივე უკეთესი მდგომარეობა მიიღო, კერესმა მეთოდურად გააძლიერა რა ფიგურების პოზიცია, მოიპოვა უპირატესობა. პავეიმ ერთიმეორეზე დაკარგა ორი პაიკი და უიმედო წინააღმდეგობის შემდეგ თავი დამარცხებულად ცნო.

შესვენების წინ მეოთხე გამარჯვება მოუტანა საბჭოთა გუნდს ბრონშტეინმა, რომელიც ეთამაშებოდა დეიკს. ბრონშტეინმა თანმიმდევრული თამაშით შეავიწროვა მოწინააღმდეგე, მოიგო ორი პაიკი და პარტია თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

მშვიდი მანევრული თამაშის შემდეგ ყაიმით დამთავრდა სმისლოვ-რეშევსკისა და პეტროსიან-ბიზგაიერის პარტიები. ავერბახმა შეცდომა დაუშვა დ. ბირნთან შეხვედრაში და დაკარგა ხარისხი. პარტია არ დამთავრებულა. გადაიდო აგრეთვე კოტოვ-რ. ბირნის პარტია.

დაუმთავრებელი პარტიების გათამაშებისას გროსმაისტერ კოტოვს გადადებულ პოზიციაში ზედმეტი პაიკი ჰქონდა რ. ბირნთან. საბჭოთა გროსმაისტერმა ზუსტად გამოიყენა თავისი უპირატესობა და 59-ე სვლაზე გაიმარჯვა.

ავერბახი დამარცხდა დ. ბირნთან, რომელსაც გადადებულ პარტიაში ზედმეტი ხარისხი ჰქონდა.

მატჩის პირველი ტურის ანგარიშია 6:2 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ!

დღითიდღე ფართოვდება და მტკიცდება მეგობრული კავშირი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა სპორტსმენებს შორის. ამაში თავისი გარკვეული წვლილი ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგურ შეხვედრებსაც შეაქვთ. სტუდენტთა და ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალზე, 1951 წელს, ბერლინს ესტუმრნენ მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელები, რომლებმაც ჩაატარეს ორი ამხანაგური შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდთან. მოსკოველი ფეხბურთელები მოედნიდან ორჯერვე გამარჯვებულები წავიდნენ (5:1 და 2:0). გასულ წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად ჩავიდნენ მოსკოვის ავტოქარხნის ფეხბურთელები („ტორპედო“). პირველი მატჩი ტორპედოელებმა ჩაატარეს „ფორვერტსთან“ და, როგორც ცნობილია, წააგეს — 2:4. ბერლინის დემოკრატიული სექტორის ნაკრებთან შეხვედრა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდა ნაკრები გუნდის ექვსი მონაწილე, „ტორპედომ“ ფრედ (1:1) დაამთავრა. შემდეგ შეხვედრაში მოსკოველებმა დაძაბულ ბრძოლაში — 2:1 დაამარცხეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონი „ტურბინა“ (ერფურტი) და ანგარიშით 5:0 — „აქტივისტი“.

დღეს საქართველოს დედაქალაქში სტუმრად არის ჩამოსული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი „ფორვერტსი“, რომელიც შეხვდება თბილისის „დინამოს“. ეს იქნება სტუმრების მეორე მატჩი საბჭოთა კავშირში. პირველი შეხვედრა გერმანელ ფეხბურთელებს ჰქონდათ მოსკოვის „ტორპედოსთან“. მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 3:1.

ფეხბურთის სეზონი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იწყება შემოდგომაზე და მთავრდება შემდეგი წლის ზაფხულში. 1949 წლიდან 1953 წლამდე პირველ ადგილებზე იყვნენ „მოტორი“ (ცვიკაუ), „ჰემი“ (ლაიპციგი), „ტურბინა“ (ჰალე) და „დინამო“ (დრეზდენი), ამას წინათ დამთავრებულ 1953-54 წლის პირველობაში პირველი ადგილი დაიკავა „ტურბინამ“, რომელიც გათამაშებაში მეორე ადგილზე რამდენჯერმე გამოვიდა.

დიდი პოპულარობით სარგებლობს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში თასის გათამაშებაც, რომელშიც ასობით გუნდი მონაწილეობს. თასის გათამაშების ისტორიაში საპატიო ჯილდო მოპოვებული აქვთ მხოლოდ ორ გუნდს „მოტორსა“ და „დინამოს“. წლევანდელი თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდნენ „ფორვერტსი“, „ჰემი“, „მოტორი“ და „ემპორი“. ამას წინათ გაიმართა ნახევარფინალური თამაში „ფორვერტსა“ და „ჰემს“ შორის. თამაში მოიგეს „ფორვერტსის“ ფეხბურთელებმა — 1:0 და გავიდნენ გათამაშების ფინალში. მეორე ფინალისტს გამოავლენს „მოტორისა“ და „ემპორის“ შეხვედრა. თასის ფინალი მოეწყობა ივლისის პირველ რიცხვებში.

„ფორვერტსი“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია. მის შემადგენლობაში არის ნაკრების სამი მოთამაშე: ვ. ეიტლიცი, გ. შერბაუმი (გუნდის კაპიტანი) და ვ. ვოლფი.

უკანასკნელი წლების განმავლობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელები წარმატებით მონაწილეობენ საერთაშორისო შეხვედრებში. მათ ჩატარებული აქვთ მატჩები უნგრეთთან, რუმინეთთან, პოლონეთთან და სხვა. მიმდინარე წლის გაზაფხულზე, ბერლინის სტადიონზე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა დაძაბულ ბრძოლაში (0:1) დამარცხება განიცადა რუმინეთის ნაკრებისაგან, ხოლო საზოგადოება „ვისმუტის“ ფეხბურთელებმა (3:1) დაამარცხეს ბუქარესტის ნაკრები. ძლიერად ჩაატარა შეხვედრა პოლონეთის ნაკრებთან „ჰემიმ“. 90 წუთიან ბრძოლას უპირატესობა არც ერთი გუნდისთვის არ მიუცია, მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

„ფორვერტსისა“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევს სპორტის მოყვარულთა შორის. დღევანდელ მატჩს სჯის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ფოლკე ნიბეგი (ფინეთი).

• • •

სურათზე: (ზევით) გერმანელი ფეხბურთელები თბილისის აეროპორტზე. სპორტის დამსახურებული ოსტატი შ. ჩიხლაძე მიესალმება გერმანელ ფეხბურთელებს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘ

მდგომარეობა 20 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	14	7	5	2	22:15	19
„სპარტაკი“ მ.	14	8	2	4	30:15	18
„დინამო“ მ.	14	7	4	3	18:10	18
„შრ. რეზერვები“	14	5	6	3	18:12	16
„დინამო“ თბ.	13	6	3	4	18:20	15
ცდსა	13	4	6	3	12:9	14
„სპარტაკი“ მნ.	13	5	4	4	10:11	14
„კრ. სოვეტოვი“	14	6	2	6	11:12	14
„ტორპედო“ მ.	13	5	3	5	19:18	13
„ლოკომოტ.“ მ.	14	2	6	6	5:11	10
„ლოკომოტ.“ ხ.	13	3	4	6	7:17	10
„ზენიტი“	13	2	5	6	12:19	9
„ტორპედო“ გ.	14	0	6	8	7:20	6

„ᲜᲝᲠᲩ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲗᲐ“ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

ყოველწლიურად იმართება „ნორჩი დინამოელის“ ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრება. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ საქართველოს „ნორჩი დინამოელის“ ფეხბურთელები, რომლებმაც 1952 და 1953 წლის შეჯიბრებებში დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილები.

„ნორჩ დინამოელთა“ ტურნირი ორ ეტაპად მიმდინარეობს. თამაშები იწყება ზონებში, ხოლო გამარჯვებულები ერთმანეთს ხვდებიან ფინალურ ჯგუფში. საქართველოს „ნორჩ დინამოელებთან“ ერთ ზონაში არიან სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდები.

დღეს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება ზონალური შეხვედრა თბილისისა და ერევნის „ნორჩ დინამოელთა“ გუნდებს შორის. მატჩის დასაწყისი—16 საათზე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

გასულ კვირას შედგა საქართველოს სსრ პირველობის მე-10 ტურის შეხვედრები ფეხბურთში. რუსთავის „მეტალურგმა“ თავის მოედანზე მიიღო წითელწყაროს „ნეფტიანიკი“ და დაამარცხა იგი ანგარიშით 4:1.

საინტერესო იყო შეხვედრა მახარაძეში, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი „კოლმეურნე“ და თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის გუნდი. დაძაბული ბრძოლა მოიგო „კოლმეურნემ“ ანგარიშით 2:1.

ბორჯომის „სპარტაკმა“ ითამაშა ქუთაისში ადგილობრივი „დინამოს“ წინააღმდეგ. მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 3:0.

განსაკუთრებით დაძაბული იყო სოხუმის „დინამოს“ შეხვედრა ზუგდიდის „კრასნაია ზვეზდასთან“. მინიმალური ანგარიშით — 1:0 გამარჯვება მოიპოვეს სოხუმის ფეხბურთელებმა.

მატჩი გორის „დინამოსა“ და ხაშურის „ლოკომოტივს“ შორის დამთავრდა გორის „დინამოს“ სასარგებლოდ — 1:0.

თბილისში თამაშობდნენ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და „მედიკის“ გუნდები. მატჩი მოიგეს ტრამვაელებმა — 3:1.

მეორე ჯგუფი. „ა“ ქვეჯგუფი. „ტორპედო“ (ქუთაისი)-„სპარტაკი“ (ცხაკაია) — 1:0; წყალტუბო-საჩხერე — 0:0; წულუკიძე-„შახტიორი“ (ტყიბული) — 4:1. **„ბ“ ქვეჯგუფი.** „კოლმეურნე“ (გურჯაანი)-„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — 2:2.

მესამე ჯგუფი. I ზონა. თიანეთი-„ლოკომოტივი“ (გურჯაანი) — 0:3; „კოლმეურნე“ (თელავი)-„სპარტაკი“ (თელავი) — 3:3; წითელწყარო-ლაგოდეხი — 1:1. II ზონა. გარდაბანი-თეთრი წყარო — 1:1; წალკა-ბოლნისი — 2:1. III ზონა. „ლოკომოტივი“ (ტყიბული)-„ურიცკი“ (დიდი ჯიხაიში) — 4:0; „მეტალურგი“ (ჭიათურა)-„კოლმეურნე“ (ჩოხატაური) — 6:2; „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი)-სამტრედია — 1:3; ამბროლაური-„სპარტაკი“ (ვანი) — 0:2. IV ზონა. წალენჯიხა-„პიშჩევიკი“ (აგარა) — 4:0; „კრასნაია ზვეზდა“ (ონგურკომბინატი)-გალი—2:3; „სპარტაკი“ (აბაშა)-ჩხოროწყუ — 3:1; ხობი-გეგეჭკორი — 3:0; „სპარტაკი“ (თერჯოლა)-ჩაის ფაბრიკა (ზუგდიდი) — 4:2.

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ (ᲒᲝᲠᲙᲘ) — „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ)

16 ივნისს გორკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“ (მოსკოვი). მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 2:1.

• • •

„ᲨᲠ. ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ“ (ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ)

გუშინ ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე თამაშობდნენ ადგილობრივი „შრომითი რეზერვები“ და „დინამო“ (მოსკოვი). მატჩი მოიგეს ლენინგრადელებმა — 3:2.

• • •

„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ) — „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ (ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ)

გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო“ და ხარკოვის „ლოკომოტივი“. შეხვედრის ანგარიში 0:0.

ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

დაიწყო რესპუბლიკური შეჯიბრება ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. პირველ ჯგუფში. გათამაშებაში მონაწილეობენ გასული წლის შეჯიბრებაში გამარჯვებული აჭარის ასსრ გუნდი, თბილისის, აფხაზეთის ასსრ, ქუთაისის, სამხრეთ ოსეთისა და ხაშურის ნაკრები გუნდები.

პირველ კალენდარულ დღეს აფხაზეთის გუნდმა მოუგო ხაშურის ნაკრებს ანგარიშით 1:0. აჭარის ფეხბურთელები დამარცხდნენ ქუთაისის გუნდთან — 2:4, ხოლო თბილისმა გაიმარჯვა სამხრეთ ოსეთის კოლექტივთან — 7:0.

შეჯიბრების მეორე დღეს თბილისისა და აჭარის გუნდების შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 7:0. ერთნაირი ანგარიშით — 1:1 დამთავრდა ხაშურისა და სამხრეთ ოსეთის, აგრეთვე აფხაზეთისა და ქუთაისის გუნდების შეხვედრები.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან

«ᲖᲔᲜᲘᲢᲘ» (ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ) — «ᲕᲘᲙᲘᲜᲒᲘ» (ᲓᲐᲜᲘᲐ)

სეზონის პირველმა ამხანაგურმა საერთაშორისო შეხვედრამ ლენინგრადში სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ლენინგრადელები მოუთმენლად ელოდნენ დანიის ფეხბურთელთა გუნდის „ვიკინგისა“ და ადგილობრივი „ზენიტის“ მოედანზე გამოჩენას.

ჩეხოსლოვაკელი მსაჯის ი. ვლჩეკის სასტვენის ხმაზე დაიწყო თამაში. თავდაპირველად ორივე გუნდი ფრთხილობდა, მაგრამ თანდათან ინიციატივა ლენინგრადელთა მხარეს გადავიდა. მალე მათ ანგარიშიც გახსნეს. 21-ე წუთზე დანიის მეკარეს მეორე ბურთი გამოაქვს კარიდან. ამის შემდეგ ინიციატივა ხან ერთი გუნდის მხარეს იყო, ხან მეორისა, მაგრამ ანგარიში შეხვედრის დამთავრებამდე არ შეცვლილა.

ლენინგრადის „ზენიტმა“ მიმდინარე სეზონის პირველი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა მოიგო ანგარიშით — 2:0.

«ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ» (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ) — «ᲤᲝᲠᲕᲔᲠᲢᲡᲘ» (ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ)

16 ივნისს მოსკოვის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში „ფორვერტსსა“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და დედაქალაქის „ტორპედოს“ შორის.

მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა გულთბილი შეხვედრა მოუწყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებს.

მოსკოველებმა თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს სტუმრებს. მალე ტორპედოელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა გულევსკიმ გახსნა ანგარიში. პირველი ნახევრის დამთავრებამდე მანვე ანგარიში ორამდე გაზარდა.

მეორე ტაიმში მოსკოველი ივანოვი „ფორვერტსის“ კარში ათავსებს მესამე ბურთს. დარჩენილ [illegible] სტუმრებმა მოახერხეს მხოლოდ ერთი საპასუხო ბურთის გატანა. საინტერესო შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 3:1.

«ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ» (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ) — «ᲟᲘᲠᲝᲜᲓᲐ» (ᲑᲝᲠᲓᲝ)

18 ივნისს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე მესამე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარა ქ. ბორდოს გუნდმა „ჟირონდამ“. სტუმართა წინააღმდეგ თამაშობდა სსრ კავშირის ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი“. მსაჯობდა ლუნდბერგი (შვეცია).

მატჩი მაღალი ტემპით დაიწყო. სტუმრები თამაშობდნენ უკეთესად ვიდრე წინა შეხვედრებში, მათი მცველები უფრო ფხიზლად დარაჯობდნენ მოწინააღმდეგეებს, ხოლო თავდამსხმელები სწრაფად და კომბინაციურად მოქმედებდნენ. მაინც პირველი ტაიმის განმავლობაში უპირატესობა ძირითადად სპარტაკელთა მხარეს იყო, რომელთა თავდასხმაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა სპორტის დამსახურებული ოსტატი დემენტიევი. მე-15 წუთზე დემენტიევმა შესანიშნავი დარტყმით გახსნა ანგარიში, ხოლო ტაიმის დასასრულს პარამონოვმა იგი ორამდე გაზარდა.

თამაშის მეორე ნახევარი კვლავ მოსკოველთა იერიშებით დაიწყო და სულ მალე დემენტიევმა მესამე ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. დიდი ანგარიშით დამარცხების საშიშროებამ „ჟირონდის“ ფეხბურთელები აიძულა მაქსიმალური ენერგიით ებრძოლათ. მალე გარდიენმა პირველი ბურთი გაქვითა. მე-18 წუთზე „სპარტაკის“ მცველებმა და მეკარე ტუჩკუსმა კარი ღიად დატოვეს და დიომ მეორე ბურთი გაიტანა მოსკოველთა კარში.

მატჩი დამთავრდა მოსკოვის „სპარტაკის“ გამარჯვებით — 3:2.

მსოფლიოს ჩემპიონი

16.000 კილომეტრი ჰაერში

თვითმფრინავმა გუგუნით დატოვა მოსკოვის აეროდრომი და კურსი სტოკჰოლმისაკენ აიღო. უკან დარჩა დედაქალაქის ცადაზიდული, მრავალსართულიანი შენობები, მოსკოვის გარეუბნის თავისებური პეიზაჟი.

...გადიოდა საათები, ვეებერთელა საჰაერო ხომალდი ღრუბლებს მიაპობდა. უკან დარჩა ხმელთაშუა ზღვა, არაბეთის ნახევარკუნძული... 13 მაისს საბჭოთა მოჭიდავეები რამდენიმე ასეული მეტრის სიმაღლიდან გულმოდგინედ ათვალიერებდნენ ინდოეთის წარმტაც ბუნებას. კალკუტაში თვითმფრინავი დაეშვა საწვავის მისაღებად. სიცხე იმდენად აუტანელი იყო, რომ გარეთ გამოსვლა ვერც ერთმა ვერ გაბედა. შემდეგ გაიგეს, რომ კალკუტაში 60 გრადუსი სიცხე ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა. ტოკიოს გზაზე უკანასკნელი გაჩერება ჰონკონგში იყო. აქედან მარშრუტის უკანასკნელ პუნქტამდე კიდევ 14 საათი იფრინეს და 14 ივნისს საღამოს 9 საათზე ტოკიოს აეროდრომზე ხმაურით დაეშვა თვითმფრინავი. 16.000 კილომეტრი ჰაერში საბჭოთა დელეგაციის ყველა წევრმა ჩინებულად აიტანა.

პირველი პროგნოზები

საბჭოთა სპორტის წარმატებას და კერძოდ მოჭიდავეების მიღწევებს ტოკიოში კარგად იცნობდნენ. იცოდნენ რომ რამდენიმე თვის წინ საბჭოთა მოჭიდავეთა ნაკრებმა სასტიკად დაამარცხა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი შვეციის გუნდი, და ისიც „თავის მოედანზე“ — საკუთარ სახლში, სტოკჰოლმში. „რას უნდა წარმოადგენდნენ — გაკვირვებით წერდა ტოკიოს გაზეთი, — საბჭოთა მოჭიდავეები. ნუთუ ისინი მართლაც უძლეველნი არიან?“. ასეთი ფიქრები მოსვენებას არ აძლევდა იაპონიისა და ბევრი კიდევ სხვა ქვეყნების სპორტის მესვეურებს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ჩვენს მოჭიდავეებს აეროდრომზე მრავალი კორესპონდენტი, ფოტორეპორტიორი და ჭიდაობის მოყვარული დახვდა. როდესაც თვითმფრინავიდან სათითაოდ იწყეს გადმოსვლა მოჭიდავეებმა, დამხვდურებს სახეზე გაკვირვება დაეტყოთ. ამის მიზეზი ჩვენი სპორტსმენებისათვის შემდეგ გახდა ნათელი. ვიღაცამ ავტორიტეტულად განაცხადა:

— ხომ გვეუბნებოდით, ისინი სხვებისაგან არაფრით გამოირჩევიან. ამ სიტყვების აზრი თარჯიმანის საშუალებით გაიგო ვახტანგ ბალავაძემ და ცალქალამანიძეს ღიმილით უთხრა:

— ბიჭო, მარიამ! მგონი შენი წონის მოჭიდავესაც ტოკიოში არსენას ტანით ელოდნენ.

ერთი რამ ცხადი იყო. ჩვენმა მოჭიდავეებმა პრესის წარმომადგენლებზე კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვეს და ეს ერთის მხრივ კარგიც იყო. მეორე დღეს გაზეთებში გამოჩნდა პირველი პროგნოზები საბჭოთა მოჭიდავეების შესახებ. „საბჭოთა სპორტსმენები ამ პირველობისაგან არაფერს კარგს არ უნდა მოელოდნენ“, „ისინი ფიზიკურად სუსტები არიან და არავითარი ექსტრა ტექნიკა მათი წარმატების კომპენსაციას არ იძლევა“. წერდნენ გაზეთები. გულთბილად მიიღეს საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილები იაპონიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა. მათთან უსიტყვო საუბარში იგრძნობოდა სითბო, მეგობრობის გრძნობა.

მეორე დილა არაფრით არ განსხვავდებოდა ჩვეულებრივი შეჯიბრების წინა დღეებისაგან. ჩემპიონატის დაწყებამდე დრო საკმაო იყო. დაიწყო ყოველდღიური მოთელვა და ვარჯიშები. პირველსავე წვრთნას დიდძალი ხალხი მოაწყდა. მსუბუქი ვარჯიშის შემდეგ გუნდი გაიყო ორ ნაწილად და მოეწყო შეჯიბრება კალათბურთში. კვლავ აწკაპუნდა ფოტოაპარატები, აწრიპინდა თვითმწერი კალმისტრები, რედაქციებს ელვის სისწრაფით გადაეცა ახალი ცნობა:

„საბჭოთა სპორტსმენები კარგი კალათბურთელებია, ყოველ შემთხვევაში უკეთესი — ვიდრე მოჭიდავეები“.

საღამოთი უკვე შეიძლებოდა პირველი შთაბეჭდილებების დაჯამება. აზრი ერთი იყო. ტოკიოში საბჭოთა მოჭიდავეებიდან აღიარეს მხოლოდ მეკოკიშვილი, ენგლასი და კარტოზია, რომელთა შესახებ ბევრი რამ იცოდნენ. დანარჩენებს მოუგონეს ზედმეტი სახელები. ასე მაგალითად: ვახტანგ ბალავაძე მძლეოსნად მონათლეს, იგი მძლეოსანს უფრო ჰგავს ვიდრე მოჭიდავესო წერდნენ საღამოს გაზეთები.

ჩემპიონის ოქროს მედალი

მეიდზის ტაძრის პარკის სპორტულ დარბაზში ამდენი ხალხი არასდროს არ ყოფილა. არაოფიციალური ცნობებით აქ 15 ათასამდე მაყურებელი იყო მსოფლიო პირველობის გახსნის დღეს. ამერიკის გუნდმა პირველი დამარცხება განიცადა ქვემსუბუქ წონაში საბჭოთა მოჭიდავისაგან. მუზაშვილმა შესანიშნავი სტილით დაამარცხა ამერიკელი ალან რაისი. მალე ცალქალამანიძემ მოუტანა თავის გუნდს კიდევ ერთი გამარჯვება. მსაჯებმა ერთხმად მიანიჭეს გამარჯვება მას რიჩარდ დელგანოსთან (აშშ) შეხვედრაში. ტოკიოს პრესის წინასწარმეტყველება არ მართლდებოდა. საბჭოთა სპორტსმენები გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდნენ.

... ხალიჩაზე ერთმანეთის პირისპირ დგანან მსოფლიოს უძლიერესი მოჭიდავე თურქი ბექირ ბიუქე და ვახტანგ ბალავაძე. თურქი ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტად იყო აღიარებული. მის წინ კი თავდახრილი იდგა ტოკიოს პრესაში „მძლეოსნად“ მონათლული ვახტანგი და მოუთმენლად ელოდა ბრძოლის დაწყებას აჰა, მსაჯის სასტვენიც, მაგრამ ეს რა სტილია, ეს როგორი ჭიდაობაა? თურქი ჩაავლებს ხელს თუ არა ვახტანგს ხალიჩის ნაპირისაკენ მიათრევს. პირველ ექვს წუთში უპირატესობა ბალავაძისაა, მაგრამ მსაჯებმა საყაიმოდ ჩათვალეს. აქ ფრთხილად უნდა იყო, გაიფიქრა ვახტანგმა, მსაჯები დაგეშილები არიან. ჩოქბჯენში ბალავაძემ ხიდურზე დაიჭირა მოწინააღმდეგე — სამი ქულა! რამდენიმე წამის შემდეგ მან თურქს კიდევ ორი ქულა წაართვა. შემდეგ ბიუქე ორჯერ იყო ჩოქბჯენში და ბოლოს ორივე ბეჭით ხალიჩაზე აღმოჩნდა. დარბაზში ატყდა ხმაური, ტაშისცემა, მაგრამ თურმე მსაჯს შეხვედრის დამთავრების ნიშანი ადრე მიეცია, თუმცა იგი არავის არ გაუგია. არა უშავს, პირველი გამარჯვება ქულებით იყოს. უთხრა არსენამ ვახტანგს ტანგასახდელში.

როდესაც მეორე წრეში ბალავაძემ ახალზელანდიელი მონაგენი მეექვსე წუთზე ხალიჩას მიაჯაჭვა, ჭიდაობის სპეციალისტებში ატყდა ჩოჩქოლი. ასეთი ბრწყინვალე გამარჯვებები უბრალოდ არ მოდის. ბოლოს და ბოლოს ვახტანგ ბალავაძეც ჩარიცხეს ოქროს მედლის პრეტენდენტთა სიაში.

ამ დროისათვის ბევრი უცხოელი ფავორიტი დამარცხებული იყო. მეკოკიშვილმა მოუგო შეხვედრა „ჩრდილოეთის გიგანტს“ ანტონსონს, ენგლასმა — თურქ ათანს, კარტოზიამ — გრენბერგსა და ირანელ ზანდის, გაბარაევმა — იაპონელ კოვანოს. წარუმატებლად დაიწყო შეჯიბრება გიგიაძემ, რომელმაც დალისტანლუსთან (თურქეთი) შეხვედრაში იერიშით გართულმა თავდაცვა წამით დაივიწყა და დამარცხება განიცადა. ძლიერი მეტოქეები ჰყავდა თავის წონაში ცალქალამანიძეს. იაპონელმა კიტანომ ოლიმპიურ თამაშებში მეორე ადგილი დაიკავა. დაძაბულ ბრძოლაში მან სძლია ცალქალამანიძეს ქულებით.

მესამე წრეში ვახტანგ ბალავაძის წინააღმდეგ იბრძოდა ფიზიკურად ძლიერი შეზნო (საფრანგეთი). განმეორდა პირველი შეხვედრის ამბავი. ვახტანგიმ გარესარმით ჰაერში ასწია და ფრანგი ხალიჩაზე გულაღმა გაშხლართა. მსაჯმა ცივად წამოაყენა ორივე და გამარჯვება ქულებით ბალავაძეს მიანიჭა. რას იზამ. ეშმაკურად ელიმებოდა თურქ მსაჯს. თურმე, ამჯერადაც დრო ამოწურული ყოფილა.

დადგა ფინალური შეხვედრების დღეც. ქვესმსუბუქ წონაში რამდენიმე მოულოდნელობამ კვლავ აურ-დაურია გზები ჭიდაობის სპეციალისტებს. ფარდინმა მე-7 წუთზე დაამარცხა შვედი ბერლინი, ხოლო ბიუქემ მეორე შეხვედრა წააგო კანეკოსთან (იაპონია). ოქროს მედლისათვის ამ წონაში იბრძოდა სამი სპორტსმენი — ბალავაძე, ფარდინი, კანეკო და ამ სამში ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობა საბჭოთა სპორტსმენს ჰქონდა, მას ერთ საათში ორი შეხვედრა უნდა ჩაეტარებინა.

იაპონელ კანეკოს წინააღმდეგ ბალავაძე პირდაპირ შეტევაზე გადავიდა. მოულოდნელად კანეკო წვდა ბალავაძეს ფეხში, მაგრამ უკანასკნელმა მოასწრო ხიდურზე გადასვლა. ეს ისე ოსტატურად და სწრაფად გააკეთა საბჭოთა სპორტსმენმა, რომ დარბაზში აღტაცების შეძახილები გაისმა. იაპონელმა გადაწყვიტა მოპოვებული ქულა (სხვათაშორის მთელი ჩემპიონატის მანძილზე ბალავაძეს მხოლოდ ეს ერთი ქულა წაართვეს მოწინააღმდეგეებმა) შეენარჩუნებინა ბოლომდე, მაგრამ იგი შემდეგ წუთზე ბეჭებით მიჭედილი აღმოჩნდა ხალიჩაზე. ეს იყო დაახლოებით მესამე წუთზე.

ჩემპიონები ყველა წონით კატეგორიაში თითქმის გამორკვეული იყო. პირველი მსოფლიო ჩემპიონი საბჭოთა გუნდიდან გახდა არსენ მეკოკიშვილი. შემდეგ ავგუსტ ენგლასი. გამოვლინდნენ გამარჯვებულები სხვა წონებშიც. დარჩა მხოლოდ ერთი შეხვედრა — ბალავაძე-ფარდინი.

ირანელმა კარგად იცოდა, რომ დგომში ბალავაძე საშიში იყო, ამიტომ ბრძოლა ფრთხილად დაიწყო. თანდათან სიფრთხილე შიშში გადავიდა. ფარდინი თითქმის აღარ ეკარებოდა მოწინააღმდეგეს. თვალი ხალიჩის გარეთ ეჭირა და ხელსაყრელ მომენტში გარბოდა სარბიელის გადაღმა. მეოთხე წუთზე ვახტანგმა ირანელი მაინც დაიჭირა გარესარმაზე და ძირს დაანარცხა. ერთი წუთის შემდეგ ფარდინი უკანა სარტყელზე გადაყვანით კვლავ ჩოქბჯენში აღმოჩნდა. პირველი ექვსი წუთი მაინც თანაბრად მიიჩნიეს. ჩოქბჯენში ზევიდან ბალავაძე მუშაობდა. აქ მან კვლავ ქულა მიიღო და უკანასკნელ სამ წუთში შუაკაურით ფარდინი ისევ ჩოქბჯენში გადაიყვანა. ახლა კი მსაჯები ვერაფერს ვერ გახდნენ. მქუხარე ტაშით დააჯილდოვა ხალხით სავსე დარბაზმა მსოფლიოს ახალი ჩემპიონი — ვახტანგ ბალავაძე. ჩემპიონის ოქროს მედალი იყო ყველა იმ გამარჯვებათა გვირგვინი, რომელიც შესანიშნავმა საბჭოთა სპორტსმენმა მოიპოვა.

„მსაჯობა? — ნუღარ იტყვით“

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ არაობიექტური მსაჯობის გამო ბევრი უკმაყოფილებას გამოთქვამდა.— ცალქალამანიძეს ყველა არაოფიციალურ ჩემპიონს უწოდებდა. უკანასკნელ შეხვედრაში, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა პირველი ადგილის ბედი, ამერიკელმა მსაჯმა ყველა ღონე იხმარა რათა... წაეგო საბჭოთა მოჭიდავეს.

ამ რამდენიმე დღის წინ რედაქციას ესტუმრა ვახტანგ ბალავაძე. ჩვენს შეკითხვაზე — როგორი იყო მსაჯობა ჩემპიონატის მსვლელობაში? — მსოფლიო ჩემპიონმა გვიპასუხა:

— მსაჯობა? — ნუღარ იტყვით, — შემდეგ დაუმატა — პირველი შეხვედრა მუზაშვილმა დიდი უპირატესობით მოუგო ამერიკელ ალან რაისს. ყველასათვის მოულოდნელად ავსტრალიელმა მსაჯმა გამარჯვებულად რაისი ცნო. ამ ფაქტმა ისეთი აღშფოთება გამოიწვია მაყურებლებსა და მონაწილეთა შორის, რომ მთავარ მსაჯთა კოლეგია იძულებული იყო მოეხსნა ავსტრალიელი მსაჯი შეჯიბრებიდან.

როდესაც ყველა წონებში გამოვლინდნენ ფინალისტები, აღმოჩნდა, რომ მათ რიცხვში ექვსი ჩვენი მოჭიდავე იყო და ხუთი თურქეთის. თურქებმა გააპროტესტეს ათანი-ტახტის შეხვედრა, რომელშიც გამარჯვება დამსახურებულად ტახტმა (ირანი) მოიპოვა. მსაჯთა კოლეგიამ გააუქმა უკვე კარგა ხნის წინათ დამთავრებული შეხვედრის შედეგი და გამარჯვება მიაკუთვნა ათანს. ამ ფაქტმა, რომლის მსგავსი იშვიათად თუ მომხდარა ჭიდაობის ისტორიაში, სამართლიანად აღაშფოთა არა მარტო ირანის გუნდის ხელმძღვანელობა, არამედ შვეციისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც. მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ ამ შემთხვევაში „დიდი პრინციპულობა“ გამოიჩინა და არ გადათქვა თავისი გადაწყვეტილება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ თურქეთის გუნდი უფრო მეტ დროს პროტესტების წერას ანდომებდა, ვიდრე შეჯიბრებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც ფაქტია, რომ თურქეთის წარმომადგენელთა ყველა პროტესტი მსაჯთა კოლეგიამ დააკმაყოფილა.

ჩვენ, საბჭოთა სპორტსმენებს, შეჯიბრებამდე და მის შემდეგაც საკმაო დრო გვქონდა იაპონიის დედაქალაქის გასაცნობად. პირველი რაც თვალში მოგვხვდა ტოკიოში, ეს იყო პატარა, უმეტეს შემთხვევაში ორსართულიანი სახლები. განუწყვეტელი მიწისძვრები აქ თურმე მრავალსართულიანი სახლების აშენების საშუალებას არ იძლევა. მეორე, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ტოკიოში ის იყო, რომ აქ ვერ გრძნობ სად ხარ, იაპონიაში, თუ ამერიკის რომელიმე ქალაქში. ცენტრალურ ქუჩებში და მაგისტრალებზე დილიდან დაღამებამდე ისმის ჯაზური მუსიკის უაზრო მელოდიები. ქალაქი სავსეა დეტექტიური ამერიკული კინოსურათებით, რომლის ნახვა „უბრალო მშრომელს 300 იენი უჯდება“.

ტოკიოს მაღაზიებში, ფარდულებში შეიძლება შესანიშნავი ფერადი ფოტოსურათების ნახვა, რომელიც ქალაქს და მის ღირსშესანიშნავ ადგილებს გამოხატავენ, მაგრამ ჩვეულებრივი თვალით შესაძლებელი ყოფილა უფრო მეტის დანახვაც: ქალაქის ქუჩებში ჩამოხეულ, ჩამოძონძილ ქალს, როგორ მოყავს რამდენიმე ბავშვი და გამვლელ-გამომვლელის ნაწყალობებით აპურებს პატარებს, ან ლამაზად მორთულ ორთვლიან ეტლში შებმულ იაპონელს, რომელიც თავდაუზოგავად მიაქროლებს ამერიკელ საქმოსანს ან იაპონელ ბურჟუას.

ნ. ბუზუშვილი,
ნ. ჯაფარიძე.

სურათებზე: (ზევით) ბალავაძემ გაიმარჯვა. (ქვემოთ მარცხნივ) საბჭოთა მოჭიდავეები ტოკიოში შეჯიბრების წინ ვარჯიშობენ. (მარჯვნივ): „ეს ჩემპიონის მედალია“ — ეუბნება ვახტანგ ბალავაძე თავის შვილს.

ტრადიცია დაივიწყეს



არც ისე დიდი ხანია, რაც თელავის ძაფსალებ ფაბრიკაში მჩქეფარე ფიზკულტურული მუშაობა წარმოებდა. ჯან-ღონით სავსე მრავალი ახალგაზრდა, რომელიც აქ მუშაობს, სამუშაო საათების შემდეგ ხალისიანად ისვენებდნენ, იკაჟებდნენ სხეულს, აწყობდნენ შეჯიბრებებს. ხუთიოდე წლის წინათ ფაბრიკაში კარგი ტრადიციაც დამკვიდრდა. პირველად მოეწყო შიდასაფაბრიკო სპარტაკიადა. ახალმა ღონისძიებამ, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ზედიზედ ჩატარდა, ხელი შეუწყო ახალგაზრდა ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლინებას, მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის უფრო ფართოდ და საფუძვლიანად გაშლას. მაშინ ფაბრიკის ახალგაზრდობას კარგი, საკუთარი სპორტული მოედანიც ჰქონდა.

ეს წინათ! ახლა კი...

— რამდენი სექციაა ჩამოყალიბებული ფაბრიკაში? — ვეკითხებით ძაფსალები ფაბრიკის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარეს ვ. ქურციკაშვილს.

— შვიდი, — სწრაფად გვიპასუხა. — მძლეოსნობის, ფეხბურთის, ფრენბურთის, შაშის, ჭადრაკის, სროლის და... უჰ, როგორ დამავიწყდა — შეწუხებული სახით ამბობს თავმჯდომარე და შემდეგ ძლივს იგონებს მეშვიდეს — ჩოგბურთის სექციას.

გასაკვირი არც არის, რომ ვ. ქურციკაშვილს სპორტის ამ სახეობის სახელიც კი დაავიწყდა. იგი ხომ მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ალბათ თავმჯდომარეს ამ სპორტის დასახელება მხოლოდ მაშინ დასჭირდა, როდესაც სექციათა ფორმალურ სიას ადგენდა. სინამდვილეში კი ფაბრიკას არც კი გააჩნია ჩოგბურთის უბრალო, სავარჯიშო მოედანიც კი. ფაბრიკას კი არა, თვით თელავშიც არსად მოიძებნება ჩოგბურთის არც ერთი კორტი. რაც შეეხება სხვა სექციებს, მათი მუშაობა სეზონური, უსისტემო და არასრულია. მსგავსი მდგომარეობაა თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა მომზადების საქმეში. თავმჯდომარემ ისიც კი არ იცის თუ რამდენი ნიშნოსანი და თანრიგოსანი უნდა მოამზადოს მიმდინარე წელს.

ფაბრიკის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედანი სავალალო მდგომარეობაშია. ახალგაზრდებისათვის ეს ყველაზე საჭირო და საყვარელი ადგილი დანაგვიანებულია. მოედანზე საკუთარი ძალებით კარგა ხნის წინათ დადგეს კალათბურთის ბოძები (იხ. სურათი), რომელსაც დღემდე ვერ გაუკეთეს ფარები და რგოლები (სექცია კი არსებობს!). მოედნის ერთ ბოლოში გაღუნული, დაძველებული ფეხბურთის კარი დგას, ხოლო მეორე ბოლოში ფეხბურთის კარის მოვალეობას ორი პატარა ჯოხი ასრულებს. მოედანი მთელ ფართობზე გადასერილია საკმაო სიღრმის მქონე არხით, რომელიც ამ „ერთი თვის წინათ" (თავმჯდომარის სიტყვებია) გაუჭრიათ. მოედანზე ლამაზად ბიბინებს ბალახი.

გულდაწყვეტილები არიან ფრენბურთელებიც, რადგან მათი „მოედანი" სრულიად უვარგისი და გამოუყენებელია (მოასფალტებულ ეზოში ჩადგმულია ორი ბოძი, რომელსაც ფაბრიკის ტერიტორიაზე მცხოვრები დიასახლისები უფრო ხშირად თეთრეულის გასაფენად იყენებენ).

მიმდინარე წელს სპარტაკიადის ჩაუტარებლობის მიზეზად ვ. ქურციკაშვილი თავის შვებულებაში ყოფნას ასახელებს, და საერთოდ იგი თავის გამართლებას მეტად უსუსური მიზეზებით ცდილობს.

ყველაფერი ეს, ჩანს არ აღელვებს არც ფაბრიკის დირექციას და არც პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. ისინი ნაკლებად ზრუნავენ მდგომარეობის გამოსასწორებლად, არ აწუხებთ მოედნის ბედი. არავითარ დახმარებას არ უწევს ფაბრიკის ძირეულ-ფიზკულტურულ კოლექტივს თელავის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტი.

ფაბრიკის ძირეული-ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე ვ. ქურციკაშვილი სახლმმართველად მუშაობს. სპორტი მას ნაკლებად ესმის და სახხვათაშორისო საქმედ მიაჩნია.

ფაბრიკის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი იქნებ ახალ თავმჯდომარეს ელის? მაშ ნუღარ ვაგვიანებთ.

გ. გომართელი,
სპეც. კორესპონდენტი.

«მზრუნველი ხელი»

აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ბანკისა და გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" მუშა-მოსამსახურეთა განკარგულებაში კეთილმოწყობილი ფრენბურთის მოედანი იყო. სამსახურიდან თავისუფალ დროს აქაური სპორტის მოყვარულები აწყობდნენ ამხანაგურ შეხვედრებს, შეჯიბრებებს, იკაჟებდნენ სხეულს. ერთ დღეს სახელმწიფო ბანკის მმართველმა დ. გაბისონიამ ყველასათვის მოულოდნელი განკარგულება გასცა — მოეზიდათ მოედანზე ქვა.

— ბანკისათვის საჭირო შენობა უნდა ავაგოთ, — თავი იმართლა მმართველმა სპორტის მოყვარულთა სამართლიანი საყვედურის პასუხად. ამოქმედდა „ტექკულტსნაბის" სამმართველო, დაიძრა მანქანები და ფრენბურთის მოედანზე გაჩნდა ქვების პირველი გროვა. რატომ სდუმს „საბჭოთა აფხაზეთის" რედაქციის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო?

ტექსტი პ. ლეთოდიანისა,
ფოტო გ. კვირკველიასი.



სტუდენტ სპორტსმენთა წარმატება

ერთ კვირაზე მეტხანს გრძელდებოდა ქალაქ გორის პირველობა კალათბურთში. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილი ვაჟთა შორის დაიკავა ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდმა. მეორე ადგილი მიეკუთვნა „პიშჩევიკს", მესამე — „უროჟაის". ქალთა შორისაც უძლიერესის სახელი დაიმსახურა ნ. ბარათაშვილის სახელობის პედინსტიტუტის კოლექტივმა.

ნ. ბერიძე

პირველობა ტანვარჯიშში

ქუთაისის მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა პირად-გუნდურ პირველობაში მონაწილეობა მიიღო 137-მა სპორტსმენმა. გუნდური პირველი ადგილი ვაჟთა საშუალო სკოლებს შორის დაიკავა პირველმა სკოლამ, ხოლო რვაწლიან სკოლებს შორის — მე-5 სკოლამ. ქალთა საშუალო სკოლებს შორის გაიმარჯვა მე-13 სკოლამ, რვაწლიან სკოლებში — მე-11 სკოლამ.

პირად ჩათვლაში კარგი შედეგები აჩვენეს ქალთა შორის (ოსტატთა პროგრამით) ნ. ტორაძემ, პირველთანრიგოსან ვაჟთა შორის პირველი ადგილი მიეკუთვნა ი. სკუჩილოვს.

შეჯიბრების პროცესში სათანრიგო ნორმატივი შეასრულა 25-მა მოსწავლემ, მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნორჩ ტანმოვარჯიშეთა ოსტატობა ძალზე დაბალ დონეზე დგას. ბევრ შემთხვევაში სპორტსმენები მოუმზადებლად გადაყავთ მაღალ თანრიგში.

ა. ალფაიძე,
სპორტის ოსტატი.

სკოლის პირველობაზე

ოჩამჩირის მეორე საშუალო სკოლაში 14 დღეს გრძელდებოდა სასწავლო წლის დამთავრებისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა შეჯიბრება ფრენბურთში. მონაწილეობდა ქალთა და ვაჟთა 22 გუნდი.

საინტერესო შეხვედრებში ქალთა შორის ყველას აჯობა IX^3 კლასის პირველმა გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდა X^3 კლასის პირველი გუნდი.

ვაჟებში გაიმარჯვა X კლასის პირველმა გუნდმა.

ვ. დოხნაძე

სტაიერის მოტაცება

უცხოეთის მძლეოსნურ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ცნობილი ინგლისელი სტაიერის გორდონ პირის განცხადებამ იმის შესახებ, რომ მან გადაწყვიტა დატოვოს ინგლისი და გადავიდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

როდესაც პირიმ განუცხადა ინგლისელ კორესპონდენტებს თავისი განზრახვა ინგლისის დატოვების შესახებ, პრესაში სკანდალური განგაში ატყდა „პირი უნდა დარჩეს ინგლისში", „პირი არ უნდა წავიდეს ინგლისიდან" — ასეთი სათაურებით იყო აჭრელებული „დეილი მეილის", „დეილი მირორისა" და სხვა გაზეთების ფურცლები.

ინგლისელებს, მართლაც, საგანგაშოდ ჰქონდათ საქმე — პირის უხვად მოჰქონდა თავისი ქვეყნისათვის ახალი რეკორდები და გამარჯვებები საერთაშორისო სარბიელზე. მარტო გასულ წელს ახალგაზრდა მძლეოსანმა აჩვენა ექსტრა კლასის შედეგები 3.000 მეტრზე — 8:11,0 (მეოთხე ადგილი მსოფლიოში), 2 მილზე — 8:47,4 (პირველი ადგილი), 5.000 მეტრზე — 14:02,6 (მეოთხე ადგილი), 3 მილზე — 13:36,4 (პირველი ადგილი). 10.000 მეტრზე — 29:17,2 (მეორე ადგილი), 6 მილზე — 28:19,4 (მეორე ადგილი). ასეთი წარმატებებისათვის ჯერ არც ერთ ინგლისელ სპორტსმენს არ მიუღწევია.

გორდონ პირის რაიმე ეგზოტიკური სურვილით არ გადაუწყვეტია ამერიკაში გადასვლა. უკიდურესად მძიმე ეკონომიურმა პირობებმა აიძულა იგი დათანხმებოდა ამერიკელი ბიზნესმენების წინადადებას, რომლებმაც პირის შესთავაზეს ერთ-ერთ უნივერსიტეტში მოწყობა და სტიპენდია. ინგლისის მძლეოსნობის ფედერაცია არასოდეს არ დაინტერესებულა თუ როგორ პირობებში უხდება ახალგაზრდა მძლეოსანს ცხოვრება და წვრთნა. გორდონ პირი მათთვის მხოლოდ რეკორდების ფაბრიკა იყო.

ამერიკის შეერთებული შტატების ბიზნესმენების აგენტურა ასეთ შემთხვევებს სანთლით დაეძებს. სტაიერული დისტანციები ამერიკის მძლეოსნობის აქილევსის ქუსლია, ამიტომ პირი მათთვის ამჟამად დაუფასებელი საგანძურია. თვეში რამდენიმე ასეული დოლარის საფასურად ამერიკელები ბრწყინვალე სპორტსმენს შეიძენენ და, გარდა ამისა, მას საცდელ ბაჭიადაც გამოიყენებენ — ინგლისელზე შეიძლება მეთოდური დაკვირვებების წარმოება გრძელ მანძილებზე რბენის ათვისებისათვის.

სტომატოლოგიის ფაკულტეტს, სადაც პირიმ უნდა ისწავლოს, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, [illegible] „დაამთავრებს" ისევე, როგორც მაკ კინლეიმ, უიტფილდმა და მრავალმა სხვამ, რომლებმაც დიპლომის მიღების ნაცვლად რამდენიმე წელს უნივერსიტეტში ყოფნის შემდეგ დატოვეს იგი იმისთვის, რომ ცრუ-მოყვარულთა რიგებიდან გადასულიყვნენ პროფესიონალებში და ლუკმა-პურის საშოვნელად ერბინათ ცხენებთან და მწევრებთან.

სტაიერის მოტაცება ოკეანის გაღმიდან — ესეც რეკორდია თუ არა? სპორტსმენის ერთი კლუბიდან მეორეში გადაბირება, წვრილი ვაჭრობა ამერიკული სპორტის გუშინდელი დღეა. დღეს კი ისინი უკვე სხვა მატერიკებზე ყიდულობენ ხალხს.

მაგრამ ბიზნესმენები განა მხოლოდ ამერიკაში არიან? ინგლისის სპორტული კორესპონდენტი პ. უილსონი წერდა: „... ერთ-ერთი მსხვილი ბრიტანული ფირმა უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას პირისთან იმ მიზნით, რომ უკეთესი მატერიალური პირობები შესთავაზოს მას და შეისყიდოს იგი". ესე იგი, როცა დადგა ამერიკელების მხრივ პირის შესყიდვის რეალური საშიშროება, მისი ყიდვა თვით ინგლისელებმა გადაწყვიტეს. ნამდვილი აუქციონია!

რა სურს პირის? აი, მისი სიტყვები: „ვიყო უზრუნველყოფილი იმდენად, რომ ყოველ დღე ვივარჯიშო 4 საათის განმავლობაში და ყოველ კვირაში გავირბინო არა 190 კილომეტრი, როგორც ახლა, არამედ—320".

რას მიიღებს პირი? აი, ოკლაჰომის უნივერსიტეტის მწვრთნელის ჯონ ჯეკობსის სიტყვები: „სწავლის, კვებისა და ბინის ანაზღაურებას, სახელმძღვანელოების ფულს და გარდა ამისა, თვეში 15 დოლარს".

ეს არის და ეს. მეტი არაფერი.

ფრანგული ჟურნალი „მიროარ სპრინტი" წერდა: „გორდონ პირიმ 8 წლის განმავლობაში უნდა ისწავლოს კბილის ქირურგია, ეს ნაკლებად დასაჯერებელია. მას სურს შეიქმნას პირობები იმისათვის, რომ სისტემატურად ივარჯიშოს და გახდეს ნამდვილი მანქანა. ამას გარდა, იგი ამერიკელ მძლეოსნებს გზას გაუნათებს გრძელ მანძილებზე რბენის საიდუმლოებაში".

მართალი სიტყვებია. გორდონ პირი, ამერიკელთა მანქანა გახდება!

ვ. ხეცურიანი

მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში

16 ივნისს შვეიცარიაში დაიწყო ფინალური შეხვედრები მსოფლიოს პირველობაზე ფეხბურთში. ეს ჩემპიონატი, რომელსაც ოფიციალურად „მსოფლიოს თასს" უწოდებენ, ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ და მასში მონაწილეობს ყველა კონტინენტის სახელმწიფოთა გუნდები.

მსოფლიოს პირველი ოფიციალური ჩემპიონი 1930 წ. იყო ურუგვაის გუნდი. 1934 და 1938 წლებში ეს ტიტული მოიპოვა იტალიის ნაკრებმა გუნდმა. შემდეგი მსოფლიო პირველობა გათამაშდა ბრაზილიაში და ურუგვაელებმა კვლავ დაიბრუნეს ჩემპიონობა.

წლევანდელი ჩემპიონატი, შეიძლება ითქვას, ყველაზე საინტერესოა ფეხბურთის ისტორიაში. თავისი შემადგენლობით იგი ყველაზე მასობრივი და ძლიერია. მასში მონაწილეობდა 38 სახელმწიფოს გუნდი. ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიიღეს: საბჭოთა კავშირისა და არგენტინის გუნდებმა.

ჩემპიონატს წინ უძღოდა წინასწარი ტურნირი, რისთვისაც ყველა სახელმწიფოს კოლექტივი დაყოფილი იყო 13 ჯგუფად.

თამაშები ქვეჯგუფებში მეტად დაძაბული იყო. პირველ ჯგუფში გამარჯვება მოიპოვეს დასავლეთ გერმანიის ფეხბურთელებმა, მეორე ჯგუფში — ბელგიამ, რომელმაც ორჯერ დაამარცხა 1948 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი — შვეციის გუნდი. მეოთხე ჯგუფში იბრძოდა დიდი ბრიტანეთის ოთხი გუნდი, რომელთაგან ინგლისმა და შოტლანდიამ მოიპოვეს ფინალში გადასვლის უფლება. მომდევნო ჯგუფებში გაიმარჯვეს საფრანგეთისა და ავსტრიის ფეხბურთელებმა.

უჩვეულოდ იქნა გამორკვეული მეექვსე ჯგუფში გამარჯვებულის ბედი ესპანეთისა და თურქეთის გუნდებმა ერთმანეთთან შეხვედრაში ერთი თამაში მოიგეს და ერთი წააგეს. დამატებითი შეხვედრა მათ შორის დაინიშნა რომში და დამთავრდა ფრედ — 2:2. ფინალში გასვლის ბედი გადაწყვიტა კენჭისყრამ. 14 წლის იტალიელი ბიჭუნას ფრანკო ჯემას ხელმა ფინალში გასვლის ბედი არგუნა თურქეთს. მეშვიდე ჯგუფში გამარჯვებული გამოვიდა უნგრეთის გუნდი, მერვეში — ჩეხოსლოვაკია. მომდევნო ჯგუფებში პირველი ადგილები დაიკავეს იტალიამ, იუგოსლავიამ, მექსიკამ. სამხრეთ ამერიკის ძლიერ გუნდებს შორის პირველობა მოიპოვა ბრაზილიის გუნდმა, ხოლო მეცამეტე ჯგუფში გაიმარჯვა სამხრეთ კორეის გუნდმა. ურუგვაის გუნდი, როგორც 1950 წლის ჩემპიონი და შვეიცარია, როგორც ფინალური თამაშების ჩამტარებელი ქვეყანა, ფინალში დაშვებულნი არიან წინასწარი თამაშების გარეშე. ეს 16 გუნდი 16 ივნისს შეუდგა ბრძოლას მსოფლიო პირველობისათვის.

ჩემპიონატის ფინალურ ფაზაში მონაწილე 16 გუნდი დაყოფილია 4 ქვეჯგუფად. ყოველ ქვეჯგუფში გამარჯვებული ორი გუნდი (ქულათა რაოდენობის მიხედვით) გადის მეოთხედფინალში, ე. ი. ყოველი გუნდი ჩაატარებს ორ შეხვედრას.

მეოთხედფინალური შეხვედრები დამთავრდება დღეს, 20 ივნისს, მეოთხედფინალები ჩატარდება 26-27 ივნისს, ნახევარფინალები — 30 ივნისს, 4 ივლისს ბერნში ვანკდორფის სტადიონზე, რომელიც 60 ათას მაყურებელს იტევს, ჩატარდება უკანასკნელი, ფინალური მატჩი. ფინალურ თამაშებში მოთამაშეთა შეცვლა არაა ნებადართული.

მოგვყავს ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრების ანგარიში: ურუგვაის გუნდმა ბერნში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელები. ანგარიშია 2:0. ჟენევაში ბრაზილიელებმა დიდი ანგარიშით (5:0) მოიგეს მექსიკა. მინიმალური ანგარიშით (1:0) ავსტრიელებმა მოიგეს შოტლანდიის გუნდი, ხოლო იუგოსლაველებმა საფრანგეთის ნაკრებს კარში გაიტანეს ერთადერთი ბურთი, რომელმაც მათ გამარჯვება მოუტანა.

მეორე ტურში თურქეთმა წააგო დასავლეთ გერმანიასთან — 1:4. ინგლისისა და ბელგიის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 4:4, უნგრელებმა დაამარცხეს სამხრეთ კორეის ფეხბურთელები ანგარიშით 9:0, ყველაზე საინტერესო იყო იტალიისა და შვეიცარიის გუნდების მატჩი, გამარჯვება შვეიცარიელებმა — 2:1.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო". ტელეფონები:
რედაქტორისა — 3-89-62, პ/მ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-84, მორიგისა და გამომცემლობის — 3-28-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 04620